



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 24

22/03/2018

**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ამომრჩევლის ხმა“-ს  
ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია“ ამომრჩევლის ხმა“-ს ახალი შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. სერგო ჯალაღანია - ფრაქციის თავმჯდომარე
2. კონსტანტინე ჩერქეზია - ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე
3. ნუგზარ გორდულაძე - ფრაქციის წევრი

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი, სამტრედია ძმები ნინუების ქ. N 1) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე